პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 36 (19777) ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჩვენი თანამედროვე — პუშკინი

ლრმა, ნათელი და სპეტაკია პუშკინის სამყარო. ჰარმონიითა და სილამაზით აღსავსე, ადამიანის გარშემო შექმნილი და ადამიანისაკენ მიმართული ეს სამყარო უსაზღვრო და მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება. მარადიული იდეალები — სიმართლე და თავისუფლება, ღირსება, სინდისი, პატიოსნება — უანდერძა პუშკინმა ჩვენს საუკუნეს. და ამ ღირებულებებით შეაბიჯებს იგი მომავალში, კეთილ გრძნობებს გაუღვიძებს ახალ თაობებს და სამუდამოდ მათ სულიერ ოძღვრად და თანამედროვედ დარჩება.

150 წლის წინათ გასროლილმა ტყვიამ ჩორნაია რეჩკაზე შეწყვიტა პოეტის სიცოცხლე. მაგრამ ცოცხლობს მისი ზნეობრივი ანდერძი, მისი შემოქმედება. თავისი არსით ეროვნული, იგი მთელ კაცობრიობას ეკუთვნის.

10 თებერვალს მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, რათა თაყვანი ეცათ დიდი მამულიშვილის ხსოვნისათვის.

საღამოს მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ა. ნ. იაკოვლევს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის.**

საღამო გახსნა ა. ს. პუშკინის ხსოვნის დღეების მომზეყობი საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა **ვ. გ. ზახაროვმა.** 150 წლის წინათ შეწყდა რუსული კულტურის გენიის ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის გულის ძგერა, თქვა მან. როცა რუსეთს ამცნეს ეს სავალალო ამბავი, პოეტის მეგობრებმა გამოხატეს აუნაზღაურებელი დანაკლისით გამოწვეული მთელი ხალხის გულისტკივილი: „ჩვენი პოეზიის მზე ჩაესვენა!.. ნუთუ მართლა აღარ გვყავს პუშკინი? ამ აზრს ჩვენი გული ვერ ურიგდება!“.

მაგრამ არც პუშკინის სახელი, არც მისი საქმე დავიწყებას ვერ მიეცემოდა. და დღეს მადლიერი შთამომავალნი სიამაყით აღენიშნავთ დიდი პოეტის უკვდავების უკვე საუკუნე-ნახევარს. შორეული წარსულიდან ყველა ჰომავალ თაობას უზვად ეფინება პუშკინის ნიჭის ნათელი.

„რატომ მოევლინა იგი მსოფლიოს და რა დაამტკიცა თავისი მოსვლით?“ — კითხულობდა ნ. ვ. გოგოლი, პუშკინის მუზის „სამეცარ სახეზე“ რომ ფიქრობდა, და თითქოს ამის პასუხად, ჩვენ დღეს პატივს მივაგებთ პუშკინს, როგორც რუსული გენიის უმაღლეს გამოვლინებას, ჩვენს უდიდეს ეროვნულ პოეტს, რომლის ხალხისადმი ჰიძღვნილმა ჩანგმა მშობლიური სიტყვიერება მსოფლიო კულტურის სიმაღლეზე აიყვანა.

ალექსანდრე პუშკინი უაღრესად ძვირფასია ჩვენთვის, როგორც კეთილშობილი, ძუსიკალური, საოცრად თავისუფალი ლექსთწყობის უბადლო ოსტატი. მან პირველმა გვიჩვენა პოეზია მთელი თავისი მომჯადოებელი სილამაზით, ერთნაირად უნარიანად გამოიყენა მისი გამოსახველი ფორმები პოლიტიკურ სატირასა და ლირიკაში, პოემებსა და თავის ლექსად დაწერილ უნიკალურ რომანში. მისი პოეტური ფუნჯი სიყმაწვილიდანვე გვაზიარებს მშობლიური ბუნების სურათების, ბრძნული ზღაპრებისა და ლირიკული განცდების ნათელ სამყაროს.

პუშკინის შემოქმედებითი გენია მის შეუდარებელ პროზაშიც ვლინდება, რომელმაც პოეტს საზელი გაუთქვა რეალისტური მეთოდისა და სტილის დამუშავების სიღრმით. მან გზა გაუკვალა ჩვენს რეალისტურ დრამატურგიას, იყო გამბედული და მახვილგონიერი პუბლიცისტი და კრიტიკოსი.

პუშკინმა მართლაც ისტორიული გმირობა ჩაიდინა, როცა, ი. ს. ტურგენევის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რუსული ლიტერატურული ენა დაიფუძნა. მან შექმნა წრფელი სამართლით, შეგრძნებათა სიღშინდითა და პატიოსნებით აღსავსე ახალი ლიტერატურა, რომელშიც ხოტბა შეასხა „უბრალო ადამიანების უბრალო სიდიადეს“.

უფართოესი პალიტრის მხატვარმა, პუშკინმა უდიდესი გავლენა მოახდინა რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების მთელ განვითარებაზე. იგი გახდა ჰუმანიტარიად, როგორც მას უწოდებდნენ, „ცენტრალური მხატვარი“: რამდენი მუსიკოსი და ფერმწერი, სხვა მუზების მსახურნი აღიანთო მისი პოეზიის ნაპერწკალმა!

პატივს მივაგებთ ჩვენს პუშკინს, რომელმაც მშობლიურ ლიტერატურაში პირველმა ასახა ეროდენ ღრმად თავისი დროის საზოგადოებრივი მოვლენების მთელი მრავალფეროვნება. პუშკინი მოქალაქე, პუშკინი თავისუფლების მომღერალი რუსული სინამდვილის ხალხის ისტორიით, ბრძოლით, სანუკვარი მისწრაფებებით ცხოვრობდა.

პუშკინისეული სახეების სამყარო დღესაც წარუვალია. პოეტის დაღუპვის დღიდან 150 წლის შემდეგაც პუშკინი უწინდებურად ახლობელი და ძვირფასია ყოველი რუსი, ყოველი საბჭოთა ადამიანისთვის. უფრო მეტიც, დრომ თითქოს გამოკვეთა კაცობრიობისთვის მისი შეუცვლელობა, მთელი მისი სიდიადე, რასაც ყოველთვის როდი ხედავენ თანამედროვენი და მხოლოდ შორი მანძილიდან ჩანს ხოლმე.

პუშკინის ხსოვნის დღეები, რომლებიც ზეიმით მიმდინარეობს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, თქვა შემდეგ ორატორმა, ორგანულად უახლოვდება აქტიური მოქალაქეობრივი საქმეების, ფართო დემოკრატიის, სიმართლისა და საჯაროობის ატმოსფეროს, რომელიც საბჭოთა საზოგადოებაში მკვიდრდება. ვისი პოეზიის უმაღლესი ჰუმანიზმი ჩვენი ერთგული მოკავშირეა სულიერი კოროზიისა და უძრაობის წინააღმდეგ, მთელი ცხოვრების ღრმა განახლებისთვის ბრძოლაში.

კვლავ გწყდებით რა ა. ს. პუშკინის მემკვიდრეობას, ვკითხულობთ მის მომხიბვლელ, ბრძნულ, მომწოდებელ სტრიქონებს, დიდი პოეტის სახით ჩვენს სულიერ თანამედროველ ვიძინთ.

პუშკინი მარადიული სიდიდეა, აღნიშნა პოეტმა **ე. ა. �აევმა.** მარადიული იმ აზრით, რომ იგი არასდროს არ იკლებს, როგორც არ იკლებს ოკეანე. და სადაც ოკეანეა, იქ მუდამ იბადება ზეცა, ქარი და ღრუბლები, მილიონობით ტალღის ბობოქრობა.

ასეა პუშკინის სიტყვაც. იგი თვით ჩვენი ნაწილი, ჩვენი გარემო ბუნების ნაწილია. მალე ორასი წელი შესრულდება, რაც იგი ბობოქრობს დედამიწაზე, სილამაზისა და მრისხანების გამომხატველი მოუსვენარი დიადი სიტყვა პუშკინისა გულიდან გულს, თაობიდან თაობას, ხალხიდან ხალხს გადაეცემა. და მართლაც, ამ სიტყვაში რაოდენ ბევრი რამ შეერწყა ერთმანეთს რუსის გულისათვის! რაოდენ ბევრი გამოხმაურება პოვა მასში!

და არა მარტო რუსისათვის, და არა მარტო მასში, არამედ მის შესაგებებლად. გამოხმაურება პოვა ყველა ენაზე და ჩვენი მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის ყველა ჰორიზონტზე, — გამოხმაურება პოვა მუსიკაში, ბალეტში, ფერწერაში, კინოში, თეატრში... მაგრამ რაც მთავარია, რა თქმა უნდა, გულში. პუშკინის მიმართ სიყვარულის გარეშე თვით სიყვარულის გრძნობა საკმარისად სრულად და ძლიერად არ მიმაჩნია. იგი ჩვენი სიტყვაა არსობის, ჩვენი პუშკინი, ჩვენი ხიბლი სილამაზისა.

პუშკინი პირველია, რომელმაც შეაბიჯა რუსული სასაუბრო ენის ცოცხალ ოკეანეში, ამით მა, ენაოკეანეს, როგორც პირველელოვანს, უფლება მისცა დამკვიდრებულიყო მის შემოქმედებაში. დამკვიდრებულიყო ზღაპრებით, თქმულებებით, არაკებით და ანდაზებით. პუშკინის დაბადებიდან ვითვლით არა მარტო ჩვენი ახალი ლიტერატურის, არამედ ჩვენი ახალი ლიტერატურული ენის წელთაღრიცხვასაც. პუშკინი ვენაალურია უწინარეს ყოვლისა ხალხთან, მისი ისტორიის, კულტურისა და ენის გრძნობით. „ხალხი დუმს“ — ეს პუშკინის მიხედვით რაღაც უფრო მეტიც კია, ვიდრე ამბოხი. „ბორის გოდუნოვი“ ამის სერიოზული დასტურია. პუშკინის პუგაჩოვი თქმულებიდან, რუსული სიმღერიდან არის მოსული. იგი

(დასასრული მე-8 გვ.).

სამეურნეო ანგარიშზე სოფლის წინსვლის ორიენტირია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორგი, იანვრის პლენუმზე მრავალ პრობლემურ საკითხთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა სოფლად მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლას. პლენუმამდე კი რამდენიმე დღით ადრე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განხილულ პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია „სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გაზრდის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციასთან.

როგორც ცნობილია, ამ ღონისძიებათა მიხედვით პირველი იანვრიდან ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მეურნეობების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კომბინატების, აგროფირმების, აგრომრეწველ ყველა მუშაკის შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია საბოლოო შედეგებზე.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, მარშან დეკემბერში კი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტიერომ ყოველმხრივ განიხილა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ფორმების სრულყოფის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის კარდინალური ღონისძიებების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ ამჟამად სოფლად შექმნილმა საწარმოო-ეკონომიკურმა ვითარებამ, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისათვის გამიზნული პარტიის კურსის თანამიმდევრულმა განხორციელებამ ხელსაყრელი წანამძღვრები შეუქმნა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე საბოლოო და საყოველთაო გადასვლას, სოფლის მშრომელების საწარმოო აქტიურობის ფართო განვითარებას. ამთავითვე პარტიულმა კომიტეტებმა საზოგადოებრივი მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების კომუნისტებთან ერთად ყურადღებიანად უნდა განიხილონ შექმნილი მდგომარეობა ყოველი შრომითი კოლექტივის მიერ მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების თვისების საქმეში, დასახონ სამეურნეო ანგარიშზე და კოლექტიურ იჯარაზე გადასვლის კონკრეტული ღონისძიებანი.

ცნობილია, რომ კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარშის ქმედითობის ერთ-ერთი მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი იყო და არის რგოლებთან და ბრიგადებთან დადებული სახელშეკრულებო ვალდებულებების დროული და მთლიანი შესრულება. ერთი მხრივ, ეს არის საჯარო ქვეგანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა — რაც დაეგეგმილია, ყველაფერი დროულად უნდა მიაწოდონ და გადასცენ, ვინაიდან რესურსებით გარანტირებული უზრუნველყოფის გარეშე იჯარა არ არსებობს.

საქართველოს სასოფლო რაიონების უმრავლესობას შრომის პრაქტიკული ორგანიზაციული ფორმების წარმატებული ათვისების საკმაო პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. უწინარესად უნდა დავასახელოთ ნოიტელწყაროს რაიონის ზემო ქედისა და ჯაფარიძის, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობების, საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის, გორის რაიონის ტყვიავის, გარდაბნის რაიონის სართიჭალის ორივე, მახარაძის რაიონის ნატანების, ზუგდიდის რაიონის კახათისა და სხვა საზოგადოებრივი მეურნეობები. ბოლო წლებში მათ კარგი გამოცდილება დააგროვეს. ბრიგადრე-მექანიზატორები, მევენახეები, მეხილეები, მეზღაიები, მეცხოველეები, რომლებიც კოლექტიური იჯარის მეთოდით მუშაობენ, კარგ საბოლოო შედეგებს აღწევენ. თვეში მათი შრომის ანაზღაურება 300-400 მანეთი და უფრო მეტია. მათი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ყველაფერი უნდა იღონონ. საჭიროა გულმოდგინე მუშაობა ადამიანებთან, თანამიმდევრული წინსვლა იქმოკენ, რომ ყოველ მინდორს, მეცხიერულ სიახლეს, ბრიგადის ნაკვეთს ნამდვილი, მზრუნველი, დაინტერესებული პატრონი ჰყავდეს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის მეურნეობისათვის სამეურნეო ანგარიშიანობა მაგისტრალური მიმართულებაა, და სწორედ აქ იძენს ღრმა აზრობრივ შინაარსს გარდაქმნისა და დაჩქარების ცნებები.

სოფლის ყველა მშრომელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ თანამედროვე ეტაპზე კოლექტიური იჯარა, სამეურნეო ანგარიში შრომის ნაყოფიერებისა და ანაზღაურების გადიდების სწორი, რეალური გზაა, რომ კოლექტიური შრომის შედეგზეა დამოკიდებული სოფლად სოციალური საკითხების წარმატებით გადაჭრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მკაფიოდ ითქვა, რომ ყოველი ღონისძიებით უნდა ვებრძოლოთ ფორმალიზმს, შაბლონს, კამპანიურობას. ეს თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან პარტიის სასოფლო რაიკომებმა, აგროსამრეწველო გაერთიანებებმა. დიდი როლი აკისრიათ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, კადრებს.

ახლა სოფლად მიმდინარეობს კოლმეურნეობების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები; აქაც და საბჭოთა მეურნეობაში აჯამებენ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო შედეგებს, იქ, სადაც შრომან კარგად გაისარჯნენ, სადაც შემოქმედებითად გამოიყენეს კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის ახალი ფორმები და მეთოდები, წარმატებებსაც მიაღწიეს. ამ მხრივ წინა წლებთან შედარებით ხელშესახები წინსვლა იგრძნობა კახეთის, დუშეთის, ნალენჯიხის, ხობის, აბაშის, ქობულეთის, გალის, ლენინგორისა და სხვა რაიონების მრავალ საზოგადოებრივ მეურნეობაში. ამის რაიონების მთელ რიგ მეურნეობებშიც ვითარდება საოჯახო იჯარის ფორმა. ახლანდელ საანგარიშო კრებებზე მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გაანალიზონ შრომანდელი წარმატებათა მიღწევის გზები და ფორმები, დასახონ სამომავლო რეალური გზები. ამასთან პირუთვნელად, მოურიდებლად უნდა ვაღიაროთ ის შეცდომები და ნაკლოვანებები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გვჭონდა. შრომელ კაცს უნდა გულდასმით მოვუსმინოთ, მივცეთ იმის შტკიცე გარანტია, რომ მომავალში აღარ განმეორდება შეცდომები და ნაკლოვანებები.

ახლა უკვე გვაქვს ყოველგვარი საშუალება, პრაქტიკულად ავამოქმედოთ აგროსამრეწველო კომპლექსის პოტენციალი და კარგი უსაუბა მივიღოთ მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელს, ფართოდ დაეუჭიროთ მხარი წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ინიციატივას — ხუთწლედის ორი წლის დავალება შეასრულოთ 7 ნოემბრისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის. ჯაფარიძელთა მაგალითით მრავალი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ამთავითვე ენერგიულად მუშაობენ და წარმატებებსაც აღწევენ.

ერთი სიტყვით, ყველამ — ხელმძღვანელმაც, სპეციალისტმაც, სოფლის მშრომელმაც — კარგად უნდა აკეთოს თავისი საქმე და საეჭვო აღარ იქნება, რომ წარმატებით გადაწყდება დასახული ამოცანები. გამარჯვება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია უწინარეს ყოველისა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, პარტიული და საბჭოთა მუშაკების მუშაობაზე. საჭიროა საქმის უნარიანი გაძღოლა; კარგი ხელმძღვანელი მარტო ის კი არ არის, ვინც სამეურნეო დავალებებს ასრულებს, არამედ ის, ვინც საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას საერთო ძალისხმევით განამტკიცებს და სოფლის მშრომელთა შორის ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი, ვინც უყვართ, ვისაც ენდობიან. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე ჩინებულად თქვა მ. გ. ვაგინმა: „ერთიანი, ხელს ნუ შევუშლით ერთმანეთს“. „მართლაც, — აღინიშნა ამ თათბირზე, — კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულაც არ არის ადგილებული ასრულებდეს ფერმის გამგის, საამქროს ხელმძღვანელის ან ბრიგადირის სამუშაოს. მაგრამ იგი ვალდებულია დროულად და ხელოვნურად შეასრულოს ის, რასაც მოიჯარე კოლექტივთან კოლმეურნეობის გაძეგობის მიერ დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს“.

...და ბოლოს, „ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გარდაქმნის საწყის ეტაპზე ვიმყოფებით. ძირითადი და ყველაზე რთული სამუშაო წინ გვიდგეს. საჭიროა მტკიცედ, ნაბიჯ-ნაბიჯ, უყოყმანოდ განვაგრძოთ წინსვლა, ხალად ვაფასებდეთ ნაღვაწს, არ ვეშინოდეს დაშვებული შეცდომების გამოსწორება, ვეძებოთ და ვიპოვოთ წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის ახალი ხერხები და ვეფოდეთ, ვიღვაწოთ დასახული მიზნებისაკენ უცილობელი წინსვლისათვის“. მოწოდებად ვიხმა ბ. ს. გორბაჩოვის ეს სიტყვები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. და ახლა ჩვენი ამოცანაა — ვიმუშაოთ და ვიღვაწოთ ისე, რომ გარდაქმნის დაჩქარების ტემპი ფართოდ ეფინებოდეს ყველა ადამიანს.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ალი სალემ ალ-ბეიდს

10 თებერვალს კრემლში მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ა. ს. ალ-ბეიდს.

გაიმართა ამხანაგური გულახდილი საუბარი ფართო წრის პრინციპულ და აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე.

თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს განვლილი წლის მანძილზე თავიანთ პარტიათა მუშაობის შედეგების შეფასებანი. მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დაწყებულ ახალ ეტაპს ჩვენი რევოლუციის განვითარებაში, როგორც თვით საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმისათვის, ისე მთლიანად მსოფლიო განვითარებისათვის. ა. ს. ალ-ბეიდმა შეფასება მისცა ყოველივე იმის, რაც 1986 წლის იანვრის ამბების შედეგების დაძლევისათვის განხორციელდა დემოკრატიულ იემენში.

საქმე შეეხო რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებას — როგორც ნეგატიურს, ისე პოზიტიურს, რევოლუციის საერთო პრინციპებსა და უმთავრესად იმას, რომ სწორი პოლიტიკა ისეთი პოლიტიკაა, რომელიც ზედმიწევნით ითვალისწინებს ქვეყნის რეალობებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, სახოგადოების ისტორიული განვითარების დონეს, ხალხს პოლიტიკურ შეგნებასა და კულტურას, მის ტრადიციებს, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობას.

არც ერთი რევოლუცია არ არის დაზღვეული ავანგარდის მისწრაფებისაგან გადაახტეს გარდუვალ ეტაპებს. ამის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იმით, თუ განვსაზღვრავთ საბოლოო მიზანს, განვახორციელებთ რეალისტურ პოლიტიკას. ყველა რევოლუციის უბედურების თავიდათავი ის არის, რომ აყენებდნენ განუხორციელებელ ამოცანებს მოკვეშულ ეტაპზე, რასაც გარდუვალად მოსდევდა პრაქტიკულ მუშაობაში სულსწრაფობა, განსხვავება სიტყვასა და საქმეს შორის.

როცა სსრ კავშირში გარდაქმნის გამოცდილება გაუზიარა, მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარსულის მკაცრი თვითკრიტიკა, ვაუკაცური ანალიზი პოლიტიკურ მნიშვნელობას მაშინ იძენს, როცა ისინი შეჩამებულია ხალხისათვის გასაგებ პოზიტიურ პროგრამასთან.

საუბარში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკითხს მმართველი პარტიის ერთიანობის შესახებ. მ. ს. გორბაჩოვმა პატივისცემით ილაპარაკა ძნელ და საგანგებო პასუხსაგებ მისიაზე, რომელიც წილად ხვდა დემოკრატიული იემენის ახლანდელ ხელმძღვანელობას, და რომელსაც სჭირდება სიმტკიცე და სიფრთხილე, პრინციპულობა და მოქნილობა, მომთხოვნელობა და კომპრომისის უნარი. იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ რევოლუცია, გავაღრმავოთ იგი, წავწიოთ წინ, ახლა უწინარეს ყოვლისა საჭიროა ხელმძღვანელობის სტაბილურობა და ის, რომ მთელი საქმიანობა დაუქვემდებაროს მთავარი, საერთო-ეროვნული ამოცანების გადაწყვეტას. მხოლოდ ასე შეიძლება საზოგადოების შეკავშირება და ქვეყნის გაყოლიება მიზნებისაკენ, რომლებიც მთელი ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მეზობლებთან იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის მდგომარეობისა და ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების, კრიზისის მოწესრიგების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების, არაბთა ერთიანობის მნიშვნელობის შესახებ, რომლის უქონლობა, უფრო მეტიც, არაბთა მონაწილეობა სხვადასხვაგვარ კონფლიქტში არის მთლიანად ახლო აღმოსავლეთის პრობლემის უძრაობისა და სიმწვავის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. სპეციალურად აღინიშნა, რომ შეუძლებელია რაიმე მოწესრიგება, თუ ყურადღება არ დაეთმობა პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის საკითხს.

იმსჯელეს ორმხრივი ურთიერთობის მთავარ საკითხებზე, რომლებსაც ყოველმხრივ და დეტალურად იხილავენ მოლაპარაკებაზე იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის დელეგაციები.

საუბარმა ჩაიარა მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში, დაადასტურა, რომ ერთნაირი მიდგომა აქვთ ყველა განხილულ საკითხზე. საუბარში მონაწილეობდა იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მუჰამედ საიდ აბდალა.

(საკდესი).

სურათზე: შეხვედრის დროს. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

მოსკოვს ჩამოვიდა

9 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ა. ს. ალ-ბეიდი. აეროდრომზე ა. ს. ალ-ბეიდს, დელეგაციის წევრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

სამუშაო ვიზიტად

მოსკოვი, 9 თებერვალი (საკდეს). დღეს მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ოჟეხოვსკი.

ამავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. ა. შევარდნაძესა და მ. ოჟეხოვსკის შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც ჩაიარა გულითადობისა და ყველა განსახილველ საკითხზე მეზედულებათა ერთიანობის ატმოსფეროში.

სტიქია და ადამიანები

ერთიანი ფრონტით

სტიქიით დაზარალებულ რაიონებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აღდგენითი და მაშველი სამუშაოები. ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს ქალაქებისა და სოფლების ცხოვრება, მთლიანად უსაფრთხო გახდეს ადამიანთა სიცოცხლე უბედურების ზონებში, ბინებით უზრუნველყონ ისინი, ვინც უკვე გამოყვანილია ამ ზონებიდან. დიდი მუშაობა გასწია ადგილებზე საქართველოში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და რესპუბლიკისათვის საჭირო დახმარების გაწევის მთავრობის კომისიამ, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ვ. ს. მურახოვსკი.

საქინფორმის კორესპონდენტებმა სთხოვეს სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის წევრს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ზ. ა. ჩხეიძეს** მოეთხრა ამ დღეებში რესპუბლიკისათვის მიყენებული ზარალის შესახებ.

— ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონი, უწინარეს ყოვლისა, ბესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ცხაკაიის, ხობის, ვანის, ლანჩხუთის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონები, სერიოზულად დაზარალა წყალდიდობამ, მეწყერებმა და თოვლის ზვავებმა, — თქვა ზურაბ ჩხეიძემ. — ეს გამოწვეულია იმით, რომ ორ-სამჯერ აიწია ნალექების დონემ.

მთებსა და ხეობებში თოვლის სიმაღლე 4-5 მეტრს აღწევს, რაც სამჯერ აღემატება მაქსიმალურ ნორმას. როგორც უკვე ვიუწყებოდით, დასავლეთის რაიონებში რამდენიმე საათში მკვეთრად აიწია წყლის დონემ მდინარეებში რიონში, ყვირილაში, ხანისწყალში, ხობისწყალში, აბაშისწყალში, ბზიფსა და ცხენისწყალში. დატბორილია დაახლოებით 200 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, დანგრეულია 2000-ზე მეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, დაზიანებულია კიდევ 3150, ისევე როგორც ყანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 650 ობიექტი.

დიდი ზარალი მიადგა სოფლის მეურნეობას. დაიღუპა უამრავი პირუტყვი და ფრინველი; დაზიანდა 80 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა და მრავალწლოვანი ნათესები, დაზიანებული და დანგრეულია 1500-ზე მეტი შენობა, ჰიდროტექნიკური და სხვა ნაგებობა, მათ შორის ბოსლები.

აღსადგენი და შესაკეთებელია 16,4 კილომეტრი რკინიგზა. მნიშვნელოვნად დაზიანდა დაახლოებით 1300 კილომეტრი საერთო სიგრძის საავტომობილო გზები, 1100 კილომეტრი ელექტროგადამცემი და 70 კილომეტრი კავშირგაბმულობის ხაზები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, ადგილებზე შექმნილი ოპერატიული შტაბები ყველაფერს ღონობენ, რათა დახმარება გაუწიონ მოსახლეობას, აღადგინონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ნორმალური მუშაობა.

სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში აქტიურად მონაწილეობენ ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ქვანაყოფები, პრაქტიკულად ყველა სამინისტრო და უწყება.

16 ათასზე მეტი კაცი გახიზნულია უსაფრთხო ადგილებში. დაზარალებულებსა და ავადმყოფებს დახმარებას უწევენ. თოვლის ზვავისა და მეწყერის შედეგად ცენტრებს მოწყვეტილ დასახლებულ პუნქტებს აწვდიან სურსათს, სათბობსა და მედიკამენტებს. გახორციელდა კავშირის, ელექტრო და წყალმომარაგების, სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენის უპირველესი ღონისძიებანი.

დაზარალებული რაიონების მცხოვრებთ ეძლევათ სათანადო ფულადი და მატერიალური დახმარება. ახლა უმთავრესი ამოცანაა უზრუნველვყოთ ვითარების მაქსიმალური სტაბილიზაცია, ნორმალური გავხადოთ ცხოვრება დაზარალებულ რაიონებში.

უბედურებამ ყველა შეაკავშირა

გასაჭირის ჟამს რესპუბლიკა კვლავ გრძნობს მეზი ქვეყნის მხურვალე მხარდაჭერას. სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის შტაბები იღებენ ცნობებს დახმარების შესახებ, წინადადებებს მოქალაქეთაგან, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ბუნების შემოტევის შედეგების ლიკვიდაციაში.

ერევანი: საქართველოს დაზარალებული რაიონების მცხოვრებთათვის დახმარების

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

9 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა გამართა სხდომა, რომელზეც სსრ კავშირის უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილა საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს უწინარეს ყოვლისა გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული ამოცანებისა და მითითებების შესასრულებლად, და მიიღო ისინი განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს, უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ გააჩაღონ პრაქტიკული მუშაობა გარდაქმნის დასაჩქარებლად, უწინარეს ყოვლისა, ეფექტიანობისა და ხარისხის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში, სოციალურ სფეროში, ნამდვილად იღვწონ სოციალიზმის, ჩვენი გეგმიანი სისტემის უდიდეს შესაძლებლობათა რეალიზაციის, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ დემოკრატიის განვითარება წარმოების სფეროში, საჯაროობა, შექმნან პრინციპულობის, მუშაობაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ნაალოგიანებთა შეუწყნარებლობის ატმოსფერო. აქტიურად ჩაებან შრომითი კოლექტივები, ყველა მშრომელი გარდაქმნაში, ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ ყველა მშრომელს მუშაობის ნებისმიერ უბანზე მოეთხოვება სანიმუშო დისციპლინა, ორგანიზებულობა და დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობა, პროფესიული ოსტატობის განუხრელი ზრდა, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაუფლება, ინიციატივა და შემოქმედება.

უწყება-სამინისტროების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მთელი სამეურნეო კადრების წინაშე დასახულია ამოცანა რაც შეიძლება მალე ათვისონ ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდები, რომლებიც ეფუძნება სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებას, ფართო დამოუკიდებლობას, საწარმო-გაერთიანებათა მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის ხელმძღვანელებისა და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

სხდომაზე საფუძვლიანად იმსჯელეს იმ საკითხზე, თუ როგორ მოაწყონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოწონებული სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის პროექტის ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა და განხილვა, პროექტისა, რომელმაც ორგანულად შეისისხლხორცა პარტიის ეკონომიკური სტრატეგია და კანონად მიღების შემდეგ მმართველობის ერთიანი სისტემის აშენების საძირკველი გახდება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ დოკუმენტის უდიდესი მნიშვნელობის გამო ყოვლად დაუშვებელია, რომ განხილვა ფორმალურად მიმდინარეობდეს. იგი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ შეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების პროპაგანდისა თ ვ ი ს, შრომითს კოლექტივებში მათი ღრმა ათვისებისათვის.

ხელმძღვანელობს რა პლენუმის ითითებით იმის შესახებ, რომ საჭიროა სერიოზულად განვაახლოთ საკადრო პოლიტიკა, გავხადოთ იგი ნამდვილად თანამედროვე, განუყრელად დაუკავშიროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა მმართველობის ორგანოებს მოსთხოვა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებას ახალ პირობებში მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში მოწინავე მიჯნების მიღწევისათვის. დიდი ყურადღება დაეთმო საქმის მდგომარეობას პროდუქციის ხარისხის ძიერეული გაუჯობესების მხრივ, განსაკუთრებით სახელმწიფო მიღების პირობებში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელობაში უნდა დავაწინაუროთ კომპეტენტური, ინიციატივიანი მუშაკები, რომლებსაც შეუძლათ მიაღწიონ წარმატებებს სოციალურ-კულტურულ და სამეურნეო მშენებლობაში.

სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებს, ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ თანამედროვე ბრძოლა, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის, ანგარიშგების, ბუღალტერიის, ბანკების, ფინანსების, ფასწარმოქმნის, სტანდარტიზაციის, ტექნიკური ინფორმაციის, ეკონომიკური ანალიზის, ფინანსური კონტროლის, ეკონომიკური ექსპერიმენტის, ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზაციის, ეკონომიკური ლიტერატურის, ინფორმაციის, ბიბლიოთეკების, ეკონომიკური ინფორმაციის ტექნიკური საშუალებების, ეკონომიკური ინფორმაციის ბეჭდვის, ეკონომიკური ინფორმაციის ბეჭდვის ტექნიკური ბაზ

(დასასრული)

მოლიანად გლეხთა ომის ცეცხლის გრიგალშია გახვეული. მასში, ისევე როგორც პუტრე პირველშიც პოლტავასთან ბრძოლისას, არის რაღაც „ღვთის რისხვა!“

ბრმა კი სხვა რამ არის. პუშკინის აზრით ბრმა — ეს უფრო ტიტულოსანი უმეცრებაა, ფუფუნებითა და უსაქმურობით ამპარტავნობაა, ვიდრე უბრალო უწიგნურობა. გადია არინა როდიონოვნა მისთვის გაცილებით უფრო განთლებული ადამიანი იყო, ვიდრე იგივე ტუტუცი და დესპოტი პროკეკურორი. განათლება სიტყვა „ხათელისგან“ წარმოსდგება. აზროვნების ნათელი, ქცევის ნათელი, სახის, ყესტის, სიტყვის ნათელი, და ბოლოს, ცხოვრების ერთობლივი ნათელი — აი კაცმა რომ თქვას, რა აინტერესებდა პუშკინს. აქედან მოდის მისი „წინასწარმეტყველიც“. მხოლოდ ცხოვრების გზებით, მისი მთა-ბარით საარული, მხოლოდ ცხოვრების შესვლა პოეტის გადასახსნელ გულში აძლევს მას საფუძველს რამდენადმე თავს წინასწარმეტყველად თვლიდეს. არა უბრალოდ ბრწყინვალე ეპითეტი, არა საგნის ნიშანი, და არა თვით მისი სახელი, არამედ სიტყვა, როგორც მთელი ენა, როგორც თვით აზრის ენერგია, რომელიც ერთდროულად მწველიც არის და მკურნალიც — აი რა არის ყოველი აქტიური ნიჭის არსი და დანიშნულება.

შეეხო რა ნაწარმოებებს, რომლებმაც განსაზღვრეს პუშკინის შემოქმედებითი აზროვნების ნიშანსვეტები, გამოხატეს მისი დამოკიდებულება თვითმპყრობელური რუსეთისადმი, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ რუსეთში შეითქვნენ თვით პუშკინის წინაალმდეგაც, რათა გაეტეხათ, გაეკამტვერებინათ პოეტის ნებისყოფა, ჩაეკროთ მისი სიტყვის პოლიტიკური მგზნებარება, სულიერად ჩამოეცლებინათ დეკაბრისტებისათვის. ერთ გადასახლებას მეორე მოსდევდა. მაგრამ გენიოსის ყოველი გადასახლება ხალხში, ყრუ პროვინციაში, ყველა მისი მდუენელი დიდაკაცებისა და გაწმაქიებლების ნანატრი მოლოდინის მიუხედავად, მას კიდევ უფრო გენიალურს ხდიდა შემოქმედებაში და კიდევ უფრო უდრეკს — თავის დემოკრატიულ მსოფლმხედველობაში.

და მაშინ იგი გაამწესეს... კამერ-იუნკერად, გაამწესეს პოეტისათვის უმაქნის და დამამცირებელ სასახლის კარის მტლიმეტად თავდაჭერილ რიტუალში, გაამწესეს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, ვითომდა მფარველობა გაეწია მონარქს ტახტის სიმაღლიდან, მეორე მხრივ კი, გაეწამებინათ ინტრიგებით, მიეყენებინათ სულიერი ტკივილი, რათა ამგვარი ხერხით დაეამცირებინათ მისი გენიალ, ქედი მოეხრევინებინათ მისთვის. მაგრამ დიდმა პოეტმა არათუ ქედი არ მოიხარა, არამედ, როგორც შემდეგ ლერმონტოვი მგზნებარედ იტყვის, „ბრბოს წინაალმდეგ კვლავ აღდგა მკაცრი“ და ამაყად თავაწეული გამოვიდა ჩორნაია რეჩკის ბარიერზე, თავისი ბოროდინოს და ამბოხებულ დეკაბრისტთა სეანატის მოედანზე.

და აი, 150 წელი გავიდა იმ საგალალო წუთიდან, როცა შავმა გასროლამ შეწყვიტა პოეტის გულის ძგერა. მაგრამ მან, ამ შავმა გასროლამ, ვერ შეძლო და უკვე ვეღარასოდეს ვერ შეძლებს შეაჩეროს მისი დიადი სიტყვის სამყარო.

პუშკინი! უიმისოდ უბრალოდ წარმოუდგენელია ჩვენი დიდი, მრავალეროვნული ლიტერატურა. წარმოუდგენელია წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც. მე არ მეგულება ხალხში იმაზე უფრო ცოცხალი ადამიანი, ვიდრე პუშკინია.

ჩვენ ვცხოვრობთ საკუთარი თავისა და ჩვენი სინამდვილის ახალი, უაღრესად პასუხსაგები შეეკობის ეპოქაში. ტექნიკური აზრი ყველგან და ყველაფერში ისე გაარდა წინ, რომ ყოველთვის როდი ასწრებს გონებას შეთანხმებას. არადა, როგორც ცნობილია, აზრი შემეცნებს, გონება კი წყვეს. გონება — ეს არის აზრი, სინდისი, ზნეება, უფლება. მათ შორის განსეთქილებას თუ მსოფლიო კატასტროფა არა, ყოველ შემთხვევაში დედამიწის სასიცოცხლო რესურსების სწრაფი გამოფიტვა მაინც მოჰყვება — ისინი კი აღუდგენელია. და განა გონების ნაყოფია მომაკვდინებელი ბირთვული გეენა, რომელიც სულ უფრო მიიწევს მაღლა, კოსმოსში? ზნეობრივი გამოფიტვაც მიმდინარეობს მასკულტურის გამხრწნელი აგრესიის მეოხებით. და აქ პუშკინის უკიდავი სიტყვა უკვე მერამდენედ გვეკვლინება პლანეტარულად როგორც გონების უუკნობი სიტყვა, ადიდ გაერთიანებელი ძალის სიტყვა, რომელიც უპირისპირდება გახრწნას— ფიზიკურსა თუ სულიერს.

პუშკინისეული „გაუმარჯოს გონებას!“ დასავლეთთან ჩვენს დიალოგში მთავარ და ამასთან საყრდენი სტრიქონის როლს ასრულებს არა მარტო თვით უმაღლესი ფიციალური განცხადებების დონეზე, არამედ სულის დონეზეც. „გაუმარჯოს გონებას!“ — ეს ნიშნავს: გაუმარჯოს სიცოცხლეს!

ზედმეტია იმის ახსნა, რად იქცა პუშკინი უკრაინისათვის, სადაც მას ყოველ სახლში შევჩენკოსთან ერთად ერის სასუფევნოდ რაკნენ, თქვა უკრაინელმა პოეტმა ბ. ი. ოლეინიკმა. საკმარისია წარმოვთქვათ ეს ნაკადულივით მორაკრაკე სტრიქონები: „წყნარია უკრაინის ღამე. გამჭვირვალეა ზეცა, ვარსკვლავები ციმციმებენ...“ და ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია.

გასული საუკუნის ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში ყოველი წიგნიერი უკრაინელი ფაქიზად იწერდა მას ლექსებს ალბომებში. და რაც მთავარია: ყველაზე დაბეჩავებულმა ფენებმა, რომლებსაც არა მარტო მიწა, თითქოს ცაც კი წართმეული ჰქონდათ, მაინც შეძლეს იმ წყვიდადეთ მოცულ ჟამს არა მარტო დაენახათ, არამედ გაენსაზღვრათ კიდეც პუშკინის პლანეტის მანთობელი ძალა. რა ზეგიერი ძალის ნიჭი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ემეცრების ტყვიის კიდელი გაარღვიოს და დაბეჩავებულის გულს დაეუფლოს, ადამიანური ღირსების გრძნობა გაუღვიძოს!

აქ, ალბათ, კიდევ უფრო აღგაფრთოვანებს რუსი ხალხის წინასწარმეტყველური გენიალ, რომელმაც იმ არაადამიანურ პირობებში უშეცდომოდ განსაზღვრა პუშკინის ადგილი როგორც თავის, ისე მსოფლიო ისტორიაში.

გულის სიღრმედე შეგძრავს გასული საუკუნის ეგრეთ წოდებულ მდაბიითა გულუბრყვილო და ამავე დროს საოცრად ღრმა მსჯელობა პოეტის შესახებ. ხოროლის მაზრის ხუტორ ბუზოვოის გლეხ ტ. გ. ტუმკო, მაგალითად, ამბობს: „უსოფლელი უწიგნურება პუშკინს უსაზღვროდ დიდ ადამიანად მიიჩნევენ...“ აი კიევის გუბერნიის გლეხის ვ. პ. მოსკალენკოს თვალსაზრისი: „მის აზრებს და ნაწერებს ჭკუაზე მოჰყავდა ყველა მმართველი, რადგან მას ზეგარდმონიჭი ჰქონდა მომადლებული. იგი ვერ ეურჩებოდა უსამართლობას და არ შეეძლო მისი წაყრუება, ამისათვის კი ხშირად უფროსები ეშვის თვალით უყურებდნენ“. მართლაც, როგორი ზუსტი სოციალური დახასიათებაა, ჩვენთვის რაოდენ ახლობელი ლექსიკური წყობაა გარდამტეხ პერიოდისა.

